



საჩუქრადგანთ წერიდი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს
ხელმძღვანელობას

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტი

15 მარტი, 2024 წელი

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილეს
ბატონ გელა გელაძეს

ბატონო გელა,

მოგესხენებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ზაზა შეყილაძე

გენერალური აუდიტორის მოადგილე

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	17
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ..	24
საკონტაქტო ინფორმაცია	27

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

გორის უნივერსიტეტი – სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

კოლეჯი „აისი“ – სსიპ - კოლეჯი „აისი“.

კოლეჯი „ახალი ტალღა“ – სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“.

მართვის საინფორმაციო სისტემა – სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.

სააგენტო – სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

სამინისტრო – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სოხუმის უნივერსიტეტი - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

ტექნიკური უნივერსიტეტი – სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

უნარების სააგენტო – ა(ა)იპ – პროფესიული უნარების სააგენტო.

ფონდი – სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი – სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი.

1. რეკომენდაციები

1.1 სააღრიცხვო სისტემის ნაკლოვანებები

აუდიტის მიგნება

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ სააღრიცხვო ჩანაწერებისთვის გამოიყენება პროგრამა MS Excel,¹ რაც ზრდის ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების, ასევე ინფორმაციის დაცვასა და შენახვასთან დაკავშირებულ რისკებს, წარმოდგენილი ფაილების დამუშავება კი, მოითხოვს დიდ დროით და ადამიანურ რესურსს. ზოგიერთი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეესაბამება სააღრიცხვო რეგისტრებს,² კერძოდ:

-) **წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის** ფინანსური შედეგების ანგარიშგების მიხედვით, ხარჯები აჭარბებს 809,654 ლარით, ხოლო შემოსავლები – 11,347 ლარით, სააღრიცხვო მონაცემებს;
-) **სოხუმის უნივერსიტეტის** ფინანსური შედეგების ანგარიშგების მიხედვით, შემოსავლების ჯამური თანხა აჭარბებს 914,799 ლარით, ხოლო ხარჯების – 504,183 ლარით, სააღრიცხვო მონაცემებს;
-) **გორის უნივერსიტეტის** ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახული შემოსავლების და ხარჯების ჯამური თანხები არ შეესაბამება სააღრიცხვო მონაცემების შესაბამის მაჩვენებლებს.

კოლეჯი „აისის“ მიერ წარდგენილი ბალანსი უტყუარად და სამართლიანად არ ასახავს მის ფინანსურ მდგომარეობას, რადგან ყველა განხორციელებული ოპერაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში არ აისახება. კოლეჯი საქმიანობას ახორციელებს/ოპერირებს გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ახმეტისა და ლაგოდეხის რაიონებში. ბალანსში არ არის ასახული ძირითადი აქტივებიდან 2015 წელს გადმოცემული 22 ჰა მიწის ნაკვეთი და კაჭრეთში მდებარე ხელოვნების სახლი;³ სააღრიცხვო რეგისტრებში სრულყოფილად არ აისახება მეცხოველეობიდან, მეფუტკრეობიდან, სამკერვალო, საკონსერვო და ა.შ. სხვადასხვა მიმართულებიდან მიღებული პროდუქცია. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი კოლეჯის მიერ განხორციელებული ყველა ეკონომიკური მოვლენის ბუღალტრულ ანგარიშგებაზე ასახვის სისრულე და შიდა კონტროლი.⁴ აუდიტის პროცესში შერჩეულ აქტივებზე ჩატარებული დათვალიერებისას/ინვენტარიზაციისას გამოვლინდა სხვაობები ფაქტობრივად არსებულსა და სააღრიცხვო მონაცემებში ასახულს შორის.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, კონტროლის ნაკლოვანება.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კოლეჯ „აისის“, წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორისა და სოხუმის უნივერსიტეტების წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების არსებობაზე, წარმოშობაზე, სისრულესა და სისწორეზე.

¹ 2023 წელს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა №760/06 ხელშეკრულებით შეიძინა „ორისის“ პროგრამული პროდუქტის ლიცენზია.

² აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 5, პუნქტი 5.

³ აღნიშნული აქტივები შეფასებული იყო აუდიტის დასრულებისას.

⁴ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 5, პუნქტი 3.

რეკომენდაცია

სოხუმის და გორის უნივერსიტეტების ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შეარჩიოს და დაწერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება განხორციელებული ოპერაციების საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა. ამასთანავე, შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციების ამსახველი მტკიცებულებითი ბაზის საიმედოობას და სისრულეს.

კოლეჯი „აისის“ ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შეარჩიოს და დაწერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება განხორციელებული ოპერაციების საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა. ამასთანავე, აუდიტის პროცესში შერჩეულ აქტივებზე ჩატარებული დათვალიერებისას/ინვენტარიზაციისას გამოვლენილ სხვაობებზე განხორციელოს შესაბამისი რეაგირება.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში მიეცათ რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3.). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №1.

**კომპონენტები,
რომლებზეც გაიცა
რეკომენდაცია
შესასრულებლად**

კოლეჯი „აისი“, წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორის უნივერსიტეტი და სოხუმის უნივერსიტეტი.

1.2 შიდაჯგუფური ოპერაციები**აუდიტის მიგნება**

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებული უნდა იყოს შიდაჯგუფური შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ერთეულთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.⁵ არ არის ელიმინირებული:

-)/ სააგენტოსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 9,999,424 ლარი;
-)/ ფონდსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 8,588,631 ლარი;
-)/ უნარების სააგენტოსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 333,149 ლარი;
-)/ მართვის საინფორმაციო სისტემასა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციები, სულ – 362,901 ლარი.

მიზეზი

კონტროლის სისუტე.

⁵ სსპასს 35, მუხლი 40.

გავლენა	შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაზრდილია ხარჯი და შემოსავალი, სულ – 19,284,105 ლარით.
რეკომენდაცია	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №2.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ცენტრალური აპარატი.
აუდიტის მიგნება	სააგენტოსა და სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებს შორის განხორციელებული ოპერაციების შესწავლისას გამოვლინდა, რომ სააგენტო აღიარებს მოთხოვნას მას შემდეგ, რაც ორგანიზაციას გადაურიცხავს ხელშეკრულებით შეთანხმებული მიზნისთვის თანხას, მიმღები მხარე კი, თავის მხრივ, აღრიცხავს ვალდებულებას. ყოველი წლის ბოლოს დგება შედარების აქტი, რომელშიც მოცემულია საანგარიშო წელს ათვისებული თანხა, რომელსაც სააგენტო აღიარებს პერიოდის ხარჯად. თანხის მიმღები პირების ათვისებული თანხების შესწავლისას გამოვლინდა, რომ სააგენტოს ავანსად გადარიცხული და საანგარიშგებო წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით ჯერ ისევ აუთვისებელი თანხებიც გათვალისწინებული აქვს ხარჯში. აღნიშნულთან დაკავშირებით მიღებული განმარტებით, დაფინანსებული თანხების გახარჯვას ადასტურებენ გადახდილი თანხებისა და გადახდილ თანხებზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობით. ⁶
მიზეზი	სააგენტოსა და ორგანიზაციებს შორის გაფორმებულ რიგ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული გაცემული თანხების მიზნობრიობის დასადასტურებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.
გავლენა	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემოსავლების და ხარჯების მუხლებში უზუსტობები.
რეკომენდაცია	აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3.). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №3.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სააგენტო.

1.3 სწავლის გადასახადი

აუდიტის მიგნება	უნივერსიტეტები სწავლის გადასახადის ოპერაციების აღრიცხვისთვის იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. არ არსებობს ერთიანი მიდგომა
-----------------	--

⁶ სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

უცხოურ ვალუტაში დარიცხულ თანხებთან მიმართებით, თუ რომელი დღის კურსით უნდა მოხდეს მოთხოვნის, ვალდებულების და შემოსავლის დარიცხვა. მიღებული შემოსავლების აღრიცხვისათვის იყენებენ როგორც დარიცხვის, ასევე საკასო მეთოდს.⁷

უნივერსიტეტების მიერ სწავლის გადასახადების აღრიცხვისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები, კერძოდ:

- სოხუმის უნივერსიტეტს** ბალანსის მიხედვით მოთხოვნები სწავლის გადასახადიდან აღრიცხული აქვს – 751,094 ლარი და შემოსავლები სწავლის გადასახადიდან – 6,594,191 ლარი, ხოლო ვალდებულებები არ ირიცხება. უნივერსიტეტის განმარტებით, სწავლის გადასახადების აღრიცხვისათვის იყენებს შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონულ პროგრამას. წლის განმავლობაში აღრიცხვაში ასახვის მიზნით, სასწავლო დეპარტამენტი დარიცხული გადასახადების/შემოსავლის და სასწავლო პროცესიდან წარმოქმნილი დავალიანებების შესახებ ინფორმაციას პერიოდულად აწვდის ბუღალტერიას. ზემოაღნიშნული დეპარტამენტის მიერ აუდიტის პერიოდში დარიცხული შემოსავლების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, შემოსავალი შეადგენს 6,250,209 ლარს. შესაბამისად, **წარდგენილია 343,982 ლარით მეტი შემოსავალი**. იმის გამო, რომ ვერ ხერხდება სტუდენტთა ბაზიდან ძველი თარიღით ზუსტი და სრული ინფორმაციის ამოღება, ვერ განხორციელდა სტუდენტების შესაბამისად დარიცხული შემოსავლის, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაანგარიშება/გადათვლა.
- ტექნიკური უნივერსიტეტის** ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, სწავლის გადასახადი – 39,260,627 ლარი. უნივერსიტეტის განმარტებით, თანხები დაანგარიშდა ელექტრონული სტუდენტური პროგრამა VICI-ის ბაზის საფუძველზე,⁸ სადაც ასახულია სტუდენტების მონაცემები უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის მიერ. სწავლის გადასახადის სახით მიღებული შემოსავლის დაანგარიშებისას გამოყენებულია არაერთგვაროვანი მიდგომა, შემოსავალი აღიარებულია როგორც დარიცხვის, ასევე საკასო მეთოდით – გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები სტუდენტების სწავლის გადასახადისას. ამასთანავე, ზოგიერთ შემთხვევაში არასწორად ხდებოდა ბაზაში სტუდენტთა სტატუსების (აქტიური, შეჩერებული თუ შეწყვეტილი) და სასწავლო კრედიტების შესახებ ინფორმაციების აღრიცხვა. სტუდენტების მიხედვით სემესტრულად დაანგარიშებული სწავლის გადასახადის ანალიზისას დადგინდა, რომ რიგ შემთხვევებში ბაზაში კრედიტების რაოდენობის არასწორად ასახვის გამო, სწავლის გადასახადი არასწორად იყო დაანგარიშებული. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში **გაზრდილია სწავლის გადასახადის სახით მიღებული შემოსავალი 373,817 ლარით**.⁹

⁷ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 2, პუნქტი 1.

⁸ პროგრამა VICI დაინერგა 2020 წლის სექტემბრიდან და მიმდინარეობს მუდმივი განახლება.

⁹ სტუდენტთა შერჩეული რაოდენობა.

ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსში აღრიცხულია სწავლის პროცესში სტუდენტების მიმართ წარმოქმნილი მოთხოვნების – 3,662,078 ლარის და ვალდებულებების – 2,581,695 ლარის 2022 წლის საბოლოო ნაშთები. აუდიტის ობიექტის უფლებამოსილი პირის განმარტებით, დავალიანებები წარმოქმნილია და მომდინარეობს გასული წლებიდან; ზუსტი სახელობითი სიები დავალიანებებზე არ არსებობს; 2022 წელს დაწყებულია სიების მოძიება, პროცესში ჩართულია უნივერსიტეტის სხვადასხვა განყოფილება, თუმცა სამუშაოს სირთულის და დიდი მოცულობის გამო, 2022 წელს ვერ მოხერხდა სიების დაზუსტება და დავალიანებების გადაანგარიშება.

აღნიშნული გარემოებების და იმის გამო, რომ სტუდენტები ინფორმაციას ფლობენ სემესტრულად გადასახდელ თანხებზე, სასწავლო წელი კი არ ემთხვევა საანგარიშგებო წელს, აუდიტის ჯგუფმა ვერ გაგზავნა დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული პროცედურებით დაადასტურა აღრიცხული დავალიანებები/შემოსავლები.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო, არაერთგვაროვანი პრაქტიკა და კონტროლის სისუსტე.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი შემოსავლების, ვალდებულებების და მოთხოვნების საბოლოო ნაშთის არსებობაზე, წარმოშობაზე, სისრულესა და სისწორეზე.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3.). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №4.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ცენტრალური აპარატი.

1.4 მატერიალური მარაგები, ძირითადი და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

ტექნიკურ უნივერსიტეტს მატერიალურ მარაგებში აღრიცხული აქვს 240,843 ლარის უძრავი ნაშთი. უფლებამოსილი პირის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ გასულ წლებში არ ხდებოდა მარაგების ნაწილის ხარჯებში ჩამოწერა ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე; არც პოლიტიკით არ არის განსაზღვრული მარაგების ხარჯად აღიარების საკითხი. რიგ შემთხვევებში მარაგები აღრიცხულია მხოლოდ თანხობრივად, რის შედეგადაც არ არის იდენტიფიცირებადი მარაგის სახეობა, რაოდენობა და ა.შ.

ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული მატერიალური მარაგების 2022 წლის საწყისი ნაშთი დაკორექტირდა 2021 წლის ინვენტარიზაციის შედეგის შესაბამისად, ფაქტობრივად არსებული ნაშთის მიხედვით, ჩამოწერილი 1,433,497 ლარის მარაგების შესაბამისი დოკუმენტაცია

აუდიტის ჯგუფს ვერ წარედგინა. ჩამოწერილი აქტივების მხოლოდ ნაწილისათვის მოძიებულ და წარმოდგენილ იქნა უნივერსიტეტის მიერ მარაგების საწყობიდან გატანის/ხარჯვის დოკუმენტაცია. უფლებამოსილი პირის განმარტებით, მარაგის საწყობიდან გატანის დამადასტურებელი დოკუმენტების სრულად მოძიება და წარმოდგენა მოითხოვს დროის დიდ რესურსს, რაც მიმდინარე სამუშაოების დიდი მოცულობის გამო ვერ ხერხდება. 2022 წელს მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

უფლებამოსილი პირის განმარტებით, 2022 წელს **წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში** ჩატარდა მატერიალური მარაგის შერჩევითი ინვენტარიზაცია. წარმოდგენილია მხოლოდ ინვენტარიზაციის ოქმები; ვერ წარმოდგინეს საინვენტარიზაციო აღწერა/შედარებითი უწყისები. მიღებული განმარტების მიხედვით, პროგრამული ხარვეზის გამო ვერ ხერხდება ინვენტარიზაციის აქტების წარმოდგენა. ბუღალტრული რეგისტრების შესაბამისად,¹⁰ ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ბალანსიდან ჩამოწერილია 133,504 ლარის ღირებულების მატერიალური მარაგი; წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, მათ შორის, ინვენტარიზაციის შემაჯამებელ ოქმში აღნიშნულია, რომ ინვენტარიზაცია ჩატარდა შერჩევითობის პრინციპით; მასში არ არის ასახული მარაგის ჩამოწერის შესახებ ინფორმაცია.¹¹

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს და, თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება,¹² რაც რიგ შემთხვევაში არ განხორციელდა:

-) **ტექნიკური უნივერსიტეტის** მიერ საქმიანობაში გამოიყენება ისეთი აქტივები, რომლებიც სრულად არის ამორტიზებული 2021-2022 წლებში და მათი ისტორიული ღირებულება შეადგენს 6,215,188 ლარს;¹³
-) **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს** წლის ბოლოს ერიცხებიდა 1,637,628 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე აქტივები, რომლებიც გამოიყენება და საბალანსო ღირებულება განულებულია;¹⁴ ასევე „ძირითადი აქტივების“ მუხლზე წლის ბოლოს აღრიცხულია 38,062 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების აქტივები, რომლებიც არ გამოიყენება. უნივერსიტეტს არ განუხილავს გაუფასურების ინდიკატორების არსებობის საკითხი.¹⁵

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ერიცხება 3,079,883 ლარის საბიბლიოთეკო ფონდის აქტივები, რასთან დაკავშირებით ფლობენ დასახელებისა და რაოდენობების მიხედვით გარკვეულ კატალოგებს, თუმცა ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ღირებულებების მითითებით, რეესტრი არ არსებობს. წიგნების

¹⁰ გატარებების ჟურნალი.

¹¹ წარმოდგენილია ოქმი №1, სადაც არაფერია აღნიშნული ინვენტარიზაციის ჩატარებისას გამოვლენილ გარემოებებსა და შედეგებზე.

¹² სსბასს 17, მუხლი 67.

¹³ 2022 წელს ამორტიზებულია 131,156 ლარის წლის საწყისი საბალანსო ღირებულების აქტივები.

¹⁴ 2022 წელს ამორტიზებულია 273,170 ლარის წლის საწყისი საბალანსო ღირებულების აქტივები.

¹⁵ სსბასს 21, მუხლი 27 და სსბასს 26, მუხლი 25.

ფონდი მოიცავს როგორც თანამედროვე, ასევე ძველ გამოცემებს. ახალი გამოცემები გამოიყენება სასწავლო და კვლევითი დანიშნულებით, ხოლო ძველი გამოცემები დაცულია საცავებში და შესაძლებელია სარგებლობის უფლება სხვადასხვა პირობით. თანხობრივად – დაცული და თანამედროვე გამოცემის წიგნების გამიჯვნა შეუძლებელია.

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი საბიბლიოთეკო ფონდებში აღრიცხული 3,254,853 ლარის ღირებულების აქტივების რეესტრი. უფლებამოსილი პირის განმარტებით, აღნიშნული ფონდები აღრიცხულია მხოლოდ ჟურნალებში ფიზიკური სახით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოხდა რარიტეტული გამოცემების იდენტიფიცირება და შესაბამისად, ვერ დადგინდა აქტივების – ფასეულობების მუხლით კლასიფიცირებული ოდენობა.

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია გასულ წლებში ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლებლებისა და კოლეჯების, სამეცნიერო ცენტრებისა და ინსტიტუტების ბალანსზე აღრიცხული აქტივების ნაშთები, სულ – 526,719 ლარის ოდენობით.¹⁶ ასახული ნაშთების აქტივად აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობის დადგენისა და შემდგომი ღონისძიებების (ჩამოწერის, კორექტირების და ა.შ.) გატარების მიზნით, სამინისტროში შექმნილია სამუშაო ჯგუფი და მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით შედეგები პერიოდულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააგენტოს „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლში აღრიცხული აქვს საგანმანათლებლო დაწესებულებების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, საიდანაც 19,155,252 ლარის ნაშთი უცვლელი იყო 2020-2022 წლებში. აუდიტის ობიექტის განმარტებით, აღნიშნული თანხიდან 16,386,145 ლარის¹⁷ სამუშაოები დასრულებულია, თუმცა ჯერ ისევ არ არის გადაცემული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

დამატებით 5,073,792 ლარის აქტივს საგანმანათლებლო დაწესებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იბარებდნენ¹⁸ და შესაბამისად, შეფერხებული იყო გადაცემის პროცესი.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, სტანდარტში¹⁹ მოცემულია ინფორმაცია გაუფასურების ინდიკატორების შესახებ; ორგანიზაციას 2022 წელს არ განუხილავს გაუფასურების ინდიკატორების არსებობის საკითხი.

ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის ერთ-ერთი მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია რწმუნების მოსაპოვებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი და ვალდებულება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი და

¹⁶ მოკლევადიანი - 38,887 ლარი და გრძელვადიანი - 487,832 ლარი.

¹⁷ საიდანაც 1,766,346 ლარის არაფინანსური აქტივების გაშიფვრას სააგენტო ვერ ახერხებს.

¹⁸ სააგენტოს განმარტებით, ინფორმაცია გადაეცა შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს და 2023 წლის ბოლოს არსებული მდგომარეობით 4,689,842 ლარის აქტივი უკვე ჩაბარებული იყო შესაბამისი მიმღების მიერ.

¹⁹ სსბასს 21, მუხლი 27 და სსბასს 26, მუხლი 25.

ვალდებულება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე იზრდება აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობა.

სოხუმის უნივერსიტეტში კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაცია 2022 წელს არ ჩატარებულა.

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა აუდიტის ჯგუფს ინვენტარიზაციის ფაქტობრივად ჩატარების მტკიცებულებად ვერ წარუდგინა საინვენტარიზაციო უწყისები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ იყო დასრულებული.

სააგენტოში ინვენტარიზაციის პროცესის შესწავლისას გამოვლინდა რიგი ხარვეზები:

-) ინვენტარიზაციის უწყისში აკუმულირებული ცვეთის/ამორტიზაციის მაგივრად მითითებულია წლიური ხარჯი, რის გამოც არასწორადაა გამოყვანილი ინვენტარიზაციის შედეგები;
-) ორგანიზაციას საანგარიშგებო წლის ბოლოს არ გადაუსინჯავს აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები;
-) არ ჩაუტარებია ღონისძიებები აქტივების შესაძლო გაუფასურების დადგენის მიზნით;²⁰
-) არ განუსაზღვრავს საექვო/უიმედო მოთხოვნები;
-) არ დაუდგენია ფულადი და არაფულადი ვალდებულებების რეალურობა და არ განუსაზღვრავს შესაბამისი ღონისძიებები არარეალური ვალდებულებების ჩამოწერის მიზნით;
-) მუხლში – „სრულად გაცვეთილი/ამორტიზებული აქტივები ექსპლუატაციაში“ აღრიცხული ათეულობით აქტივის ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა;²¹
-) წარმოდგენილ უწყისებში ყველა აქტივზე არ არის განსაზღვრული მატერიალურად პასუხისმგებელი პირი, ადგილმდებარეობა და საინვენტარო ნომერი.

ტექნიკურ უნივერსიტეტში 2021 წელს დაიწყო უძრავი ქონების ინვენტარიზაცია, რომელიც 2022 წელსაც არ დასრულებულა. 2022 წლის 16 ნოემბრის ბრძანებით²² ჩატარდა ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციის შედეგები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან არ იყო დამტკიცებული ინვენტარიზაციის შედეგების აქტი.

2020 წლის ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი იყო საცნობარო ანგარიშზე აღრიცხული 747,924 ლარის ისტორიული ღირებულების აქტივების დანაკლისი და ზედმეტობა – 2,686 ერთეული. 2022 წლის ფინანსური აუდიტის ფარგლებში წარმოდგენილი განმარტებით, ინვენტარიზაციის შედეგად

²⁰ გარდა შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი აქტივების განსაზღვრისა.

²¹ პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული აქტივები ინვენტარიზაციის უწყისში გამორჩენილია ტექნიკური ხარვეზის გამო და გამოსწორებული იქნება მიმდინარე წლის ინვენტარიზაციის დროს.

²² ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2022 წლის 16 ნოემბრის № MES 0 22 0001461900 ბრძანება.

გამოვლენილია 741,742 ლარის დანაკლისი.²³ უფლებამოსილი პირის განმარტებით, მუშაობის პროცესში ინვენტარიზაციის ოქმებში აღმოჩენილ იქნა უზუსტობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაკლისები სრულად ვერ იქნა გადატანილი შესაბამის ანგარიშზე. 2023 წელს შექმნილია კომისია, რომელიც მუშაობს წლების განმავლობაში წარმოქმნილი დანაკლისების საკითხზე. აუდიტის მიმდინარეობისას ვერ იქნა მოპოვებული ინფორმაცია, დანაკლისად გამოვლენილ აქტივებთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

მიზეზი	ინვენტარიზაციის არასრულყოფილად განხორციელება; აქტივების არასათანადო კონტროლი.
გავლენა	მატერიალურ მარაგებში, ძირითადი და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მუხლებში – უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზაციებმა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებით შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ტექნიკური უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი, წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სააგენტო და სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

1.5 პირობითი აქტივები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,²⁴ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.²⁵ აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,²⁶ ინფორმაცია პირობითი აქტივების და პირობითი ვალდებულებების შესახებ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საცნობარო ანგარიშებზე. სააგენტოში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასების საფუძველზე ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად არ აისახება მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები. პირობითი აქტივებსა და დებიტორულ დავალიანებებს შორის, დავის მოგების ალბათობის გათვალისწინებით, თანხები სწორად არ არის გამიჯნული; ერთი და იგივე დავალიანება აღრიცხულია როგორც პირობითი აქტივებში, ასევე დებიტორულ დავალიანებაში, სულ – 2,004,777 ლარი.
------------------------	---

²³ რომელიც მოიცავს 687,659 ლარის ძირითად აქტივებს, 17,805 ლარის ძვირფას ლითონებს და 36,278 ლარის მცირეფასიან აქტივებს.

²⁴ სსბასს 1, მუხლი 27.

²⁵ სსბასს 19.

²⁶ მუხლი 10, პუნქტი 30.

მიზეზი**გავლენა****რეკომენდაცია****კომპონენტი, რომელზეც****გაიცა რეკომენდაცია****შესასრულებლად****1.6 სააღრიცხვო პოლიტიკა****აუდიტის მიგნება**

ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ სასამართლო დავები არ არის შეფასებული და ასახული პირობით აქტივებში. შედეგად, შემცირებულია საცნობარო ანგარიშის პირობითი აქტივები – 1,006,551 ლარით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს არ აქვს ასახული 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 227,747 ლარის პირობითი აქტივი და მოპასუხე მხარიდან სასამართლო დავები პირობითი ვალდებულებების ანგარიშზე – 237,658 ლარი.

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები სრულყოფილად არ არიან უზრუნველყოფილნი მნიშვნელოვანი ინფორმაციით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №8.

სააგენტო, ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.²⁷

აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ 2022 წელს შექმნა სამუშაო ჯგუფი და დაიქირავა ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობდა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებაზე.

2022 წელს სამინისტროში მოქმედებდა ერთი და იმავე ოპერაციების მიმართ განსხვავებული მიდგომები, მათ შორის:

- ⌋ სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი დავალიანებების და შემოსავლების აღრიცხვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტები იყენებდნენ განსხვავებულ პოლიტიკას;
- ⌋ რიგ შემთხვევებში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების²⁸ მიღება-გასვლის ნაწილი მოიცავს ასევე მუხლის ქვეანგარიშებს შორის მოძრაობასაც, რიგ შემთხვევებში კი – არა;
- ⌋ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში²⁹ სხვისთვის გადასაცემი აქტივები ასახულია როგორც ძირითადი აქტივები, ასევე როგორც მატერიალური მარაგები და სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები;

²⁷ აღრიცხვის ინსტრუქცია, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლები; მე-5 მუხლი, პუნქტი 4.

²⁸ S3, S6.

²⁹ S3, S6, S11.

- რ) რიგ შემთხვევებში ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების³⁰ ნაწილი მოიცავს ცვეთით განულებულ აქტივებსაც, ხოლო გარკვეულ შემთხვევებში – არა. მოცემული აქტივების საცნობარო ანგარიშზე გადატანის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ინვენტარიზაციის აქტებში;
- ს) გამოვლენილია ისეთი აქტივები, რომელთა საბალანსო ღირებულება 2022 წელს განულებულია და გადატანილია საცნობარო ანგარიშზე, თუმცა კვლავ გამოიყენება. აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად, 31 აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი შედეგები განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს სსბასს 3-ის მიხედვით, რაც რიგ შემთხვევაში 2022 წელს არ არის გამოყენებული.

მიზეზი
გავლენა
რეკომენდაცია

სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა.

არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: შესრულებული (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №9.

კომპონენტი, რომელზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

ცენტრალური აპარატი.

1.7 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

სსბასს 31 – „არამატერიალური აქტივების“ მიხედვით, უნდა შეფასდეს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. კერძოდ, უნდა დადგინდეს, სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია, თუ – განუსაზღვრელი. განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხებათ, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება.³²

ტექნიკურ უნივერსიტეტში არ გამოიყენება სსბასს 31-ის მითითებები, ვადების შეფასებასთან დაკავშირებით. არ არის დასაბუთებული ისეთი არამატერიალური აქტივების ნაწილზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი, რომელთაც მინიჭებული აქვთ 10%-იანი ნორმა.³³

³⁰ S6.

³¹ სსბასს 17, მუხლი 67.

³² სსბასს 31, 87-ე და 107-ე მუხლები.

³³ მათ შორისაა ისეთი აქტივებიც, რომელთაც უფიქსირდებათ 10 წელზე ნაკლები სასარგებლო მომსახურების ვადა (მაგალითად, ავტორიზაცია/აკრედიტაცია) ან შესაძლებელია წარმოადგენდეს განუსაზღვრელი მომსახურების მქონე აქტივს.

არამატერიალური აქტივი არის იდენტიფიცირებადი არამონეტარული აქტივი ფიზიკური ფორმის გარეშე.³⁴ ერთეულმა უნდა შეაფასოს, განსაზღვრულია თუ განუსაზღვრელი არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა.³⁵ განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივები არ უნდა იქნეს ამორტიზებული,³⁶ თუმცა ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონედ შეფასებული არამატერიალური აქტივის საბალანსო ღირებულება და მიზეზები, რომლებიც ადასტურებს ამ აქტივის განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასებას.³⁷ ამასთანავე, სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება³⁸ და განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ყველა პერიოდში უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს, კვლავაც ადასტურებს თუ არა მოვლენები და პირობები, რომ არამატერიალურ აქტივს განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს.³⁹

) **სააგენტოს** 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 2010-2017 წლებში შესყიდული 881,628 ლარის არამატერიალური აქტივები, რომლებიც არის საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო, გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევების დოკუმენტაცია. ორგანიზაციას მოცემული აქტივებისთვის არ დაურიცხავს ამორტიზაცია. სააგენტოს არ შეუფასებია, მოცემული აქტივები აკმაყოფილებენ თუ არა არამატერიალურ აქტივებად კლასიფიკაციის კრიტერიუმებს. ორგანიზაციის განმარტებით, აღრიცხული პროექტების ფარგლებში დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები და 2023 წელს მიმდინარეობს ნაშთების გადაცემა.

) **ტექნიკური უნივერსიტეტის** უფლებამოსილი პირის განმარტებით, 2022 წელს არ გამოიყენებოდა და გაუფასურებული იყო არამატერიალური აქტივების ნაწილი. შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 175,979 ლარის ისტორიული ღირებულების გაუფასურებული აქტივები, წლის ბოლოს – 17,081 ლარის საბალანსო ღირებულებით.⁴⁰

მიზეზი

კონტროლის სისუსტე, აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 898,709 ლარის არამატერიალური აქტივების საბოლოო ნაშთის არსებობაზე, უფლებებსა და ვალდებულებებზე, სისწორესა და კლასიფიკაციაზე. ფინანსური ანგარიშგების „არამატერიალური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

³⁴ სსბასს 31, მუხლი 16.

³⁵ სსბასს 31, მუხლი 87.

³⁶ სსბასს 31, მუხლი 106.

³⁷ სსბასს 31, მუხლი 121.

³⁸ სსბასს 31, მუხლი 107.

³⁹ სსბასს 31, მუხლი 108.

⁴⁰ სსბასს 21, მუხლი 26.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაცია №11.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

ტექნიკური უნივერსიტეტი და სააგენტო.

1.8 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სწავლის პროცესში ყოველწლიურად იქმნება გარკვეული რაოდენობის პროდუქცია. საგანმანათლებლო დაწესებულებებს⁴¹ ასევე უფლება აქვთ, განახორციელონ გარკვეული სახის მომსახურება ან/და აწარმოონ სხვადასხვა სახის პროდუქცია, მოახდინონ მისი რეალიზაცია და მიიღონ შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობიდან. მათ მიერ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი პროდუქციის/გაწეული ანაზღაურებადი მომსახურების ღირებულების განსაზღვრის, აღნიშნული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის განკარგვის წესი და პირობები დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 12 იანვრის №3 დადგენილებით. ეკონომიკური საქმიანობის დასაწყებად, ამ დადგენილების საფუძველზე, საგანმანათლებლო დაწესებულებამ/კოლეჯმა ინდივიდუალურად უნდა მოამზადოს ეკონომიკური საქმიანობის განაცხადი მიმართულებების მიხედვით, თითოეული კატეგორიის პროდუქციის რეალიზაციისათვის ან/და ანაზღაურებადი მომსახურების გაწევისათვის, რომელიც ინფორმაციის სახით ეგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კოლეჯის მიერ ხდება სწავლების პროცესში შექმნილი აქტივების რეალიზაცია/ეკონომიკური საქმიანობა, ამ დრომდე სამინისტროსათვის არ მიუმართავს არც ერთ კოლეჯს.

მიზეზი

კონტროლის სისუსტე.

გავლენა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აქტივების, შემოსავლების და ხარჯების მუხლებში უზუსტობები.

რეკომენდაცია

სამინისტრომ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების საადრიცხო და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით, შეაფასოს პრობლემის სისტემურობა და უფლებამოსილების ფარგლებში შეისწავლოს კოლეჯების მიერ ზემოაღნიშნული საკითხების დადგენილებასთან შესაბამისობა და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

ცენტრალური აპარატი.

1.9 საწვავი

⁴¹ კოლეჯები.

აუდიტის მიგნება

საწვავის ლიმიტების და სარგებლობის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი კონტროლის ნაკლოვანებები:

- 1) **სააგენტოს** არ აქვს დადგენილი საწვავის ლიმიტების თვითრიგული ოდენობა, ბრძანება განსაზღვრავს თითოეული ავტომობილის მიერ წლის განმავლობაში მხოლოდ ჯამურად ასათვისებელ მოცულობებს. აღნიშნული პრაქტიკა არ იძლევა ხარჯვის სრულყოფილი ანალიზის შესაძლებლობას და ართულებს კონტროლის პროცესს.
- 2) **ტექნიკურ უნივერსიტეტში:**

 - 2022 წელს ჩამოწერილი საწვავის ნაწილის, კერძოდ, 2,580 ლიტრის მიხედვით ვერ იქნა წარმოდგენილი ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საფინანსო დეპარტამენტში სრულად არ იყო წარმოდგენილი საწვავის ჩამოწერის აქტები; შედეგად, შესაბამისი ჩამოწერის დოკუმენტაციის წარმოდგენლობის გამო, ვერ ვადასტურებთ 2,580 ლიტრი საწვავის გახარჯვის პერიოდსა და მიზნობრიობას;
 - რამდენიმე ავტომობილს კონკრეტულ თვეებში უფიქსირდება საწვავით სარგებლობა, სულ – 495 ლიტრი, თუმცა მოცემულ თვეებში ამ ავტომობილებისათვის არ იყო დადგენილი საწვავის ლიმიტები.

მიზეზი

კონტროლის სისუსტე.

გავლენა

საწვავის ხარჯში უზუსტობები.

რეკომენდაცია

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სამინისტროს 2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში გაიცა რეკომენდაცია, რომლის შესრულების სტატუსია: მიმდინარე (იხ. თავი 3). წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა – რეკომენდაციები №13 და №14.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

სააგენტო და ტექნიკური უნივერსიტეტი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოთხოვნები და ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, ოპერაციები და მოვლენები აღიარდება მათი მოხდენისთანავე და განხორციელებს მათი იმ პერიოდის საბუღალტრო ჩანაწერებში ასახვა და ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარება, რომელსაც განეკუთვნება.⁴² **ტექნიკურ უნივერსიტეტს:**

-)/ 2022 წლის დარიცხულ შემოსავლად აქვს აღიარებული აქტივების იჯარით გაცემის ხელშეკრულებების პირობების დარღვევისას, გასული წლების შესაბამისად დასარიცხი საურავის თანხა – 172,540 ლარის ოდენობით. შედეგად, **შემცირებულია 2022 წლის მოთხოვნების საწყისი ნაშთი და გაზრდილია დარიცხული შემოსავალი – 172,540 ლარით;**
-)/ არ უღიარებია საქართველოს ბანკთან 2019 წელს გაფორმებული სახელფასო პროგრამის ექსკლუზიურად მომსახურების ხელშეკრულების⁴³ საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები და შემოსავლები; აღნიშნულიდან გამომდინარე, **შემცირებულად არის წარდგენილი მოკლევადიანი მოთხოვნების 2022 წლის საწყისი ნაშთი – 406,000 ლარის და საბოლოო – 59,248 ლარის ოდენობით.** იქიდან გამომდინარე, რომ 2022 წელს მისაღები შემოსავალი აღიარა საკასო მეთოდით, ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში **შემოსავალი გაზრდილია 277,000 ლარით.** ამავე ხელშეკრულების ფარგლებში, 2022 წელს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საქართველოს ბანკს მიმართა მის ნაცვლად 69,752 ლარის მესამე მხარისათვის (კრედიტორებისათვის) გადარიცხვის შესახებ; ოპერაცია უნივერსიტეტის მიერ არ აისახა სააღრიცხვო რეგისტრებში. შედეგად, **შემცირებულია 2022 წლის ხარჯი 69,752 ლარით.**

სააგენტოს:

-)/ არასწორად აქვს აღრიცხული 2022 წლის ზოგიერთი ოპერაცია, რის შედეგად შემცირებულია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი 74,950 ლარით, ხოლო ვალდებულებების – გაზრდილია 156,395 ლარით;
-)/ ორგანიზაციას არასწორად აქვს აღრიცხული 2022 წლამდე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის შედეგად გაზრდილია მოთხოვნების საწყისი ნაშთი 581,018 ლარით, ხოლო ვალდებულებების – შემცირებულია 196,895 ლარით;
-)/ არასწორად აქვს აღრიცხული კონტრაქტორი ორგანიზაციების მიმართ დაკისრებული ჯარიმები, რის შედეგადაც შემცირებულია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი – 210,562 ლარით;
-)/ გამომცემლობებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში არ აქვს ხარჯი აღიარებული, რის შედეგად გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი, სულ – 3,471,203 ლარით;

⁴² სსბასს 1, მუხლი 7.

⁴³ დანართი „ა“ - დამატებითი პირობები 01-08-15/1445-2019-2, დანართი №1-211349192-001; 2019 წლის 30 სექტემბერი.

- ს) არ აქვს აღრიცხული მომწოდებელი კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაო, შედეგად გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი, სულ – 48,164 ლარით;
- ს) არ აქვს აღრიცხული 2022 წელს ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის ფარგლებში მომწოდებლის მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული საჯარიმო თანხა, რის შედეგადაც გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი, სულ – 520,768 ლარით.

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს ბალანსში აღრიცხული აქვს მოკლევადიან დებიტორულ დავალიანებებში ზედმეტად გადახდილი გადასახადების მიხედვით – 5,866 ლარი, მაშინ როდესაც გადასახადის გადამხდელის პირადი ბარათის მონაცემების მიხედვით ის შეადგენს – 29,903 ლარს. შედეგად, შემცირებულია ფინანსურ ანგარიშგებაში მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებების საბოლოო ნაშთი 24,037 ლარით.

2022 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ხარჯად აქვს აღიარებული 2023 წლის შესაბამისი 136,928 ლარის მიწის გადასახადი.⁴⁴ შედეგად, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „გარე ტრანსფერები და სხვა საოპერაციო ხარჯების“ და „მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ მუხლების ნაშთები გაზრდილია 136,928 ლარით.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სააგენტო, ტექნიკური უნივერსიტეტი, წერეთლის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტები.

2.2 ძირითადი აქტივები

ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ 2022 წელს არასწორად მოხდა 2021 წლის ცვეთაში დაშვებული შეცდომების რეტროსპექტულად გასწორება. შედეგად, 481,901 ლარის ოდენობით შემცირებულია აქტივების საწყისი საბალანსო ღირებულება და გაზრდილია ცვეთის ხარჯი, ხოლო წლის ბოლოს აქტივების ღირებულება შემცირებულია 963,801 ლარით.

წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა არასწორად აღრიცხა არასაცხოვრებელი შენობების რეკონსტრუქციის/კაპიტალური რემონტის ფარგლებში გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების შესაბამისად შესრულებული სამუშაოები – ნაცვლად 299,635 ლარისა,⁴⁵ 324,638 ლარის ოდენობით; შედეგად, წლის ბოლოს 25,003 ლარით გაზრდილი ოდენობით წარადგინა „სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების“ მუხლი, ხოლო „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების“ – შემცირებულად.

სოხუმის უნივერსიტეტის მიერ ასევე შენობის კაპიტალური სარემონტო სამუშაოების მიხედვით არასწორად აღრიცხვის შედეგად, ბალანსში წლის

⁴⁴ 2023 წელს წარდგენილი დეკლარაცია.

⁴⁵ შპს „იბექსთან“ 2022 წელს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები.

ბოლოს გაზრდილია ძირითადი აქტივების ღირებულება 13,434 ლარით⁴⁶ და შემცირებულია მოკლევადიანი მოთხოვნების ნაშთი.

სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 333,536 კვ.მ უძრავი ქონება – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა და 491 კვ.მ შენობა-ნაგებობები, ბიოლოგიური აქტივები/რესურსი⁴⁷ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს ასახული იმ მიზეზით, რომ არ არის ღირებულებით შეფასებული; ასევე 6,406 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების და 11,565 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები, რომელთა ღირებულებაც შეადგენს ქონების რეგისტრაციის ღირებულებას – 50 ლარს, რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის.

სააგენტოს:

- ⌋ 61,702 კვ.მ მიწასა⁴⁸ და 10,008 კვ.მ ფართის შენობა-ნაგებობებზე,⁴⁹ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიხედვით, ფიქსირდება სარგებლობა არსებობის ვადით, რომელიც არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მიზეზით, რომ მათ იყენებენ საგანმანათლებლო დაწესებულებების განსათავსებლად. გარდა ამისა, საჯარო რეესტრის ამონაწერსა და სააღრიცხვო დოკუმენტაციას შორის გამოვლინდა შეუსაბამობა აქტივის სარგებლობის ვადასთან დაკავშირებით;⁵⁰
- ⌋ სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად, ბალანსში აღრიცხული 3 ავტომობილი არ არის რეგისტრირებული⁵¹ სააგენტოს სახელზე.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ტექნიკური უნივერსიტეტი, სოხუმის უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სააგენტო და წინამდგარიშვილის სახელობის კოლეჯი.

2.3 სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

სააგენტოს:

- ⌋ არასწორად აქვს აღრიცხული 2022 წლის ზოგიერთი ოპერაცია, რის შედეგად გაზრდილია სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების საბოლოო ნაშთი, სულ – 231,345 ლარით;
- ⌋ 2022 წლამდე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების არასწორად აღრიცხვის შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულია სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების საწყისი ნაშთი, სულ – 777,913 ლარით.

⁴⁶ შპს „უნიტრონთან“ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები №160, 07-146, 645.

⁴⁷ 8 ცხენი.

⁴⁸ 71.63.58.369 - დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ თანიაანთკარში (40 040 კვ.მ) და 51.01.61.092 - გურჯაანში, ფარნავაზის ქ. №14 (21 662 კვ.მ).

⁴⁹ 01.13.04.017.019 - თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირის №134 (4 492 კვ.მ) და 51.01.61.092 - გურჯაანში, ფარნავაზის ქ. №14 (5 517 კვ.მ).

⁵⁰ 01.14.05.007.073 - თბილისში, ზურაბ ანჯაფარიძის I შესახვევის №6 (მე-5 სართულზე 175 კვ.მ ფართი, მე-6 სართულზე - 274 კვ.მ ფართი და №2-№3 ლიფტები).

⁵¹ VOLKSWAGEN PASSAT, 2 ცალი SUZUKI Sx4.

2.4 შემოსავლები

აუდიტის მიგნება

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2019 წელს გააფორმა 602,097 ევროს გრანტის ხელშეკრულება,⁵² რომლის თანახმად თანხის ხარჯვა უნდა განხორციელებულიყო მიზნობრივად; პირველი ტრანშის მიღების⁵³ შემდეგ, რომელიც შეადგენს 974,073 ლარს,⁵⁴ მეორე ტრანშში ჩაირიცხებოდა პირველად მიღებული თანხის მინიმუმ 70%-ის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენისა და მათი მხრიდან აღნიშნულის დადასტურების შემდეგ.⁵⁵ მეორე ტრანშში ჩაირიცხა 2021 წლის 10 დეკემბერს 751,032 ლარის ოდენობით.⁵⁶ შესაბამისად, უნივერსიტეტს უნდა ელიარებინა 2021 წლის შემოსავალში პირველი ტრანშის მინიმუმ 70% – 681,851 ლარი.⁵⁷ 2022 წელს ახალი ტრანშის ჩარიცხვა არ მომხდარა. უნივერსიტეტმა 2022 წელს არასწორად აღიარა 760,133 ლარი შემოსავალში.

სააგენტოს არასწორად აქვს აღრიცხული კონტრაქტორი ორგანიზაციების მიმართ დაკისრებული ჯარიმები, რის შედეგადაც შემცირებულია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი – 210,562 ლარით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2022 წელს აპატია სტუდენტებს სწავლის გადასახადის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლო, სულ – 673,015 ლარი, საიდანაც 58,315 ლარი, გასულ წლებში იყო დარიცხული, ხოლო 614,700 ლარი – მიმდინარე წლის დარიცხვა. აღნიშნული ოპერაციის ასახვა სააღრიცხვო რეგისტრებში განხორციელდა არასწორად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული კომერციულ ბანკში დეპოზიტიდან მისაღები 2022 წლის დეკემბრის საპროცენტო შემოსავალი – 303,767 ლარით.

სააგენტო, წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2.5 ხარჯები

აუდიტის მიგნება

სააგენტოს:

-) გამომცემლობებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში არ აქვს ხარჯი აღიარებული, რის შედეგად გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი, სულ – 3,471,203 ლარით;

⁵² 2019 წლის ხელშეკრულება №2019 - 1981/001-001.

⁵³ რომელიც ჩაირიცხა 2019 წლის 19 დეკემბერს 602,097 ევროს 50 %-ის ოდენობით.

⁵⁴ 301,048 ევრო.

⁵⁵ 2019 წლის №2019 - 1981/001-001 ხელშეკრულების მუხლი 1.5.2.

⁵⁶ 213,186 ევრო.

⁵⁷ პირველი ჩარიცხვის - 974,073 ლარის 70%, რაც შეადგენს 681,851 ლარს.

-)/ არ აქვს აღრიცხული მომწოდებელი კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაო, შედეგად გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი, სულ – 48,164 ლარით;
-)/ 2021 წლის ხარჯი აღრიცხული აქვს 2022 წელს, სულ – 127,077 ლარი;
-)/ არ აქვს აღრიცხული 2022 წელს ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის ფარგლებში მომწოდებლის მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული საჯარიმო თანხა, რის შედეგადაც გაზრდილია მოთხოვნების საბოლოო ნაშთი, სულ – 520,768 ლარით.

ტექნიკურ უნივერსიტეტს 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აქვს აღიარებული ხარჯად განმეორებით 2021 წლის ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 345,168 ლარის ოდენობით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) ქონების გადასახადის დეკლარაციაში აისახება წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს 2022 წელს სტუდენტების მიმართ ჯარიმების პატიების არასწორი აღრიცხვის შედეგად, 673,015 ლარით შემცირებული აქვს ხარჯების მუხლი.

წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2022 წლის ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) შეადგენს 67,460 ლარს,⁵⁸ საბუღალტრო რეგისტრებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში კი აღიარებულია 272,024 ლარის ხარჯი. შესაბამისად, სხვაობა – 204,564 ლარის ოდენობით, გაზრდილია „სხვა ხარჯების“ მუხლი.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სააგენტო.

2.6 რეტროსპექტული გადაანგარიშება

აუდიტის მიზნება

სამინისტროს წინა პერიოდების არსებითი შეცდომების რეტროსპექტული გადაანგარიშების შედეგად შეცვლილი აქვს აქტივების, ვალდებულებების და წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთები, რომლებიც დაკავშირებულია 2022 წლამდე განხორციელებულ ოპერაციებთან.

მათ შორის, 2021 წელთან დაკავშირებული შეცდომების გასწორება ასახულია მხოლოდ ფინანსური მდგომარეობისა და კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგებებში.

სსბას 3 – სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების მიხედვით, ერთეულმა რეტროსპექტულად უნდა გაასწოროს წინა საანგარიშგებო პერიოდის არსებითი შეცდომები, გამოსაცემად ნებადართულ პირველივე ფინანსურ ანგარიშგებებში შეცდომების გამოვლინებისთანავე, შემდეგი გზით:

-)/ იმ წარდგენილი საანგარიშგებო პერიოდ(ებ)ის შესადარისი ინფორმაციის გადაანგარიშებით, რომელშიც დაშვებულ იქნა შეცდომა ან
-)/ წარდგენილი ყველაზე ადრეული საანგარიშგებო პერიოდის აქტივების, ვალდებულებებისა და წმინდა აქტივების/კაპიტალის საწყისი ნაშთების

⁵⁸ წარდგენილია დაზუსტებული დეკლარაცია.

გადაანგარიშებით, თუ შეცდომა დაშვებულ იქნა ყველაზე ადრეულ წარდგენილ საანგარიშგებო პერიოდამდე.⁵⁹

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაში არ არის ასახული 2021 წლის ოპერაციებთან დაკავშირებული კორექტირებები.

სსიპ – კოლეჯი „მოდუსი“ შეცდომით ორჯერ აქვს აღრიცხული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

კონსოლიდირებული ერთეულები და სსიპ – კოლეჯი „მოდუსი“.

2.7 ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

სსბას 1-ის – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“⁶⁰ მიხედვით, სამართლიანი და შესაბამისი ინფორმაციის წარსადგენად, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში აღიარებული ხარჯები უნდა დაეფასა ქვეჯგუფებად, რათა ნათლად გამოიკვეთოს ანგარიშვალდებული ერთეულის კონკრეტულ პროგრამებსა და სხვა საქმიანობებზე გაწეული დანახარჯები.

ორგანიზაციებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „სუბსიდიის“ მუხლიდან გაცემული აქვთ შტატით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება და სხვადასხვა ხარჯი, სულ – 10,325,177 ლარი.⁶¹

სააგენტოს საინვენტარიზაციო კომისიის ოქმის მიხედვით არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციისას გამოვლინდა 603,624 ლარის დანაკლისი, 13,836 ლარის – ზედმეტობა და 69,923 ლარის აქტივები განისაზღვრა ჩამოსაწერად, ხოლო საცნობარო მუხლების მიხედვით გამოვლინდა: დანაკლისი ისტორიული ღირებულებით – 377,510 ლარი და ზედმეტობა – 4,004 ლარი; ასევე დაფიქსირდა 355 დასახელების მარაგის ზედმეტობა, რომლის ღირებულებაც დასადგენია. ინვენტარიზაციის შედეგების გამომწვევი მიზეზები ვერ დადგინდა და მასალები გადაიგზავნა საქართველოს პროკურატურაში. სააგენტოს აღნიშნული შედეგები ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს ასახული. ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის მიზნით სააგენტომ შეისწავლა 30 შერჩეულ სკოლასთან გადარიცხული 149,235 ლარი,⁶² იმის გათვალისწინებით, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ზემოთ მითითებული მუხლების 94,903,620 ლარის საბოლოო ნაშთია აღრიცხული (პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლით).

ტექნიკურ უნივერსიტეტში 2020 წლის ინვენტარიზაციის შემაჯამებელი ოქმის მიხედვით ჩამოსაწერი იყო 1,360,346 ლარის ძირითადი აქტივები და 627,636 ლარის მცირეფასიანი აქტივები. უფლებამოსილი პირის განმარტებით, 2022 წელს უნივერსიტეტმა საცნობარო ანგარიშიდან ჩამოწერა 627,636 ლარის

⁵⁹ სსბას 3, მუხლი 47.

⁶⁰ სსბას 1, 93-ე, 106-ე, 109-ე, 111-ე მუხლები.

⁶¹ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 4,669,243 ლარი და ტექნიკური უნივერსიტეტი - 5,655,934 ლარი.

⁶² თანხები სრულად ათვისებული ან ბიუჯეტში დაბრუნებული იყო, შესაბამისად, მოთხოვნების ნაშთი არ დარჩენილა.

მცირეფასიანი და 1,240,109 ლარის ძირითადი აქტივები, ხოლო ბალანსის „ძირითადი აქტივების“ მუხლიდან – 33,005 ლარის აქტივი. სხვაობა ბრძანებით განსაზღვრულ და ფაქტობრივად ჩამოწერილი ძირითადი აქტივების ღირებულებას შორის შეადგენდა 87,232 ლარს, რომელიც უნივერსიტეტის განმარტებით, გამოწვეული იყო ტექნიკური ხარვეზით. 2022 წელს აღნიშნული ჩამოწერების შესწავლისას გამოვლინდა, რომ ფაქტობრივად ჩამოწერილია 1,248,708 ლარის ძირითადი აქტივები, მათ შორის: 1,240,109 ლარი – საცნობარო ანგარიშიდან, 8,599 ლარი – ბალანსის „ძირითადი აქტივების“ მუხლიდან. უფლებამოსილი პირის განმარტებით, სხვაობის თანხა ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება 2023 წელს;

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სააგენტო, ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია №1	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ხელმძღვანელობამ შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც უზრუნველყოფილი იქნება განხორციელებული ოპერაციების საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა. ამასთანავე, შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციების ამსახველი მტკიცებულებითი ბაზის საიმედოობას და სისრულეს.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №2	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისას უზრუნველყოფს შიდაჯგუფური ოპერაციების შედარებას და ელიმინირებას (გამორიცხვას), მათ შორის, საჯარო სკოლების დონეზე; ასევე სამინისტრომ განიხილოს იმ ერთეულების კონსოლიდაციის საკითხი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კონსოლიდაციას დაქვემდებარებული ერთეულების კრიტერიუმებს, შეიმუშაოს და დანერგოს შესაბამისი მექანიზმები გადარიცხული თანხების კონტროლისთვის.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №3	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სააგენტომ შეიმუშაოს პოლიტიკა, რომლითაც გაიწერება ხარჯის დამმოწმებელი მხარე და დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გადარიცხული და ათვისებული თანხების შესაბამისობისა და მიზნობრიობის დადასტურებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №4	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ხელმძღვანელობამ შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი პოლიტიკა, რომლითაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების სწავლის საფასურის მიხედვით განხორციელებული ოპერაციების (დარიცხვა, გადახდა და ა.შ.), აგრეთვე უცხოური ვალუტის ფარგლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და შემოსავლების საბუღალტრო რეგისტრებში სრული, დროული და ზუსტი ასახვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №5	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციის ამსახველი სააღრიცხვო დოკუმენტების დროულ გადაგზავნას საბუღალტრო სამსახურში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.

რეკომენდაცია №6	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და კონტროლის გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ორგანიზაციებმა კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებით შექმნან საინვენტარიზაციო კომისიები, უზრუნველყონ აქტივების ფაქტობრივი ნაშთების შემოწმება და ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა შესაბამისი წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №7	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული აქტივები არამატერიალურ აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს. ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ტექნიკურმა უნივერსიტეტმა არამატერიალური აქტივები დააკლასიფიციროს როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივები და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე, ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №8	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდეს დროული და ფორმალური კომუნიკაცია საფინანსო და იურიდიულსამსახურებს შორის, შეფასდეს სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები და შესაბამისად აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №9	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია №10	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნებიდან გამომდინარე, განხორციელდეს ჩართული მხარეების უფლება-მოვალეობების და პასუხისმგებლობების გამიჯვნა და გაძლიერდეს შეთანხმებული პირობების შესრულებაზე კონტროლი.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.

რეკომენდაცია №11	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ორგანიზაციამ არამატერიალური აქტივები დააკლასიფიციროს როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივები და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №12	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გარდაცვლილი პირების დროულ გამოვლენას და უზუსტობის დროულ აღმოფხვრას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №13	სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და ტექნიკურმა უნივერსიტეტებმა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით, შეიმუშაონ ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც ხელს შეუწყობს ლიმიტთან შეუსაბამო შემთხვევების დროულ გამოვლენას და აღმოფხვრას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია №14	სააგენტომ და ტექნიკურმა უნივერსიტეტმა საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად ხარჯვის უზრუნველსაყოფად კონკრეტულ პირზე საწვავი გასცენ დასაბუთებულად, კონკრეტული სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე და განხორციელდეს სათანადო აღრიცხვა მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, რომელშიც განმარტებული იქნება საწვავის გაცემის მიზნობრიობა და ოდენობა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	მარიამ ჭოლოკავა ელფოსტის მისამართი: Mcholokava@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელფოსტის მისამართი	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE